კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
მმართველობის ანგარიშგება	45

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზღების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნა 15-ში არის ახსნილი, ჯგუფმა არ განახორციელა ვადაგადაცილებული გადაზღვევის მოთხოვნის გაუფასურება, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 602 ათასი ლარით. აღნიშნული ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ჯგუფი ვალდებული იყო შეეფასებინა აღნიშნული მოთხოვნის გაუფასურება, რაც შესაბამისად იმოქმედებდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

აუდიტის პროცესში გამოვლინდა რომ ჯგუფის მიერ 2021 წლის განმავლობაში წარდგენილ ზოგიერთ საგადასახადო დეკლარაციაში ასახული მონაცემები განსხვავდება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემებისაგან და ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა განსხავებების მიზეზი. ჯგუფის მენეჯმენტის განმარტებით, დეკლარაციები საჭიროებს დაკორექტირებას, რაც მოხდება უახლოეს თვეებში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულბებების მოპოვება, რათა დაგვედგინა აღნიშნული დეკლარაციების შესაძლო კორექტირების ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა ჯგუფის მიერ მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

როგორც მე-17 შენიშვნაშია მოცემული, ჯგუფს საგადასახადო ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული აქვს გადავადებული საგადასახადო აქტივის სახით 1,017 ათასი (2020: 1,017) ლარის ოდენობით. აგრეთვე იჯარის ვალდებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებულია 173 ათასი ლარის ოდენობით (2020: 479) ჩართულია გადავადებული საგადასახადო აქტივის კალკულაციაში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 12 მოგებიდან გადასახადები-ს შესაბამისად, ჯგუფმა მაშინ უნდა აღიაროს დაგროვილი საგადასახადო ზარალი აქტივის სახით, როდესაც მოსალოდნელია ისეთი სიდიდის მომავალი პერიოდის საგადასახადო მოგების არსებობა, რომელიც საკმარისი იქნება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის გამოყენებისათვის. ამასთანავე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს გადავადებული საგადასახადო აქტივის თანხა და განიმარტოს მისი აღიარების დამადასტურებელი საფუძველი.

აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ მომავალ პერიოდებში ჯგუფი გამოუმუშავებს საკმარის დასაბეგრ საგადასახადო მოგებას, აგრეთვე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის განმარტებული საგადასახადო ზარალის აღიარების დამადასტურებელი საფუძველი.

ამასთანავე იჯარის ვალდებულების ჩართვა გადავადებული საგადასახადო აქტივის გაანგარიშგებაში არ შეესაბამება ბასს 12 მოგებიდან გადასახადების მოთხოვნებს.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ჩვენ ვერ ვადასტურებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაშთს.

აუდიტს წავრმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე". ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ ("IESBA Code") შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიაის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ "საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების" გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართელობის ანგარიშგება" შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში" იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება" მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტის ძირითადი საკითხები

მოზიდული პრემია	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
მთლიანი მოზიდული პრემიები წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს და მოიცავს თანხებს, რომელიც მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძალაში მყოფი სადაზღვევო პოლისებისგან. ჩვენი აზრით, შემოსავლების აღიარება მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტისთვის, რადგან კომპანიამ შეიძლება არასწორად აღრიცხოს სადაზღვევო პოლისები. მოზიდული პრემიის მნიშვნელოვნება ასევე გამოწვეულია მისი მოცულობისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებთან მგრძნობიარე კავშირის გამო.	მოზიდულ პრემიებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: ► გავაკეთეთ ანალიტიკური პროცედურები და გადავთვალეთ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული პრემია; ► ჩავატარეთ დროში გამიჯვნის პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოუმუშავებელი პრემია შემოსავლის სახით არ არის შეტანილი ფინანსურ ანგარიშგებაში; ► შერჩევის საფუძველზე მიმოვიხილეთ გაფორმებული სადაზღვევო კონტრაქტები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას შეესაბამება მოზიდული პრემიების აღრიცხვის რეესტრი მითითებული ინფორმაცია; ► შერჩევის საფუძველზე მოვახდინეთ სადაზღვევო კონტრაქტების ტესტირება იმასთან დაკავშირებით, შეიცავენ თუ არა ისინი გადაზღვევის სათანადო დონეს და ასევე იმ მიზნით რომ გადამზღვევლის კუთვნილი პრემიები არის თუ არა გამოკლებული მოზიდული პრემიებიდან; ► აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება; ► ჩვენ მოვახდინეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გამომუშავებული პრემიის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნის გადამოწმება.

სადაზღვევო ზარალები	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
სადაზღვევო ზარალები კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია. სულ წარმოშობილი ზარალები მოიცავს როგორც ანაზღაურებულ ზარალებს, ასევე განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალებს (RBNS). სადაზღვევო კომპანიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სადაზღვევო ზარალების ოდენობა და შესაბამისად მათი სწორად აღიარება. ზარალების ანაზღაურება მივიჩნიეთ ისეთ არედ, რომლის მიმართაც საჭიროა აუდიტორის განსაკუთრებული ყურადღება და ერთ-ერთ ისეთ საკითხად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ყველაზე მნიშვნელოვანია.	სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: ► მოვიპოვეთ ზარალების რეესტრი და შერჩევის საფუძველზე დავტესტეთ ზარალების სისრულეს რეესტრთან მიმართებაში; ► ჩავატარეთ ძირითადი პროცედურები და ანალიტიკური მიმოხილვა აუნაზღაურებელი ზარალების შესახებ; ► შერჩევით გადავამოწმეთ ანაზღაურებული ზარალები გადახდის დოკუმენტაციასთან და სადაზღვევო ხელშეკრულებებთან; ► ზარალის შემთხვევები, რომლებიც აღიარებულია როგორაც განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი (RBNS), შესაბამისი ბაზა შევამოწმეთ ძირითადი მონაცემებთან დოკუმენტალურად (ზარალის ნომერი, დაზღვეული, დაზღვევის ხაზი, თანხა,

შემთხვევის თარიღი, გაცხადების თარიღი, ტრანზაქციის თარიღი და ა.შ.)

► აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება;

► ჩვენ მოვახდინეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნის გადამოწმება შესაბამის სტანდარტთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთას შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ვახტანგ ცაბაძე.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანთ თორნთონის სახელით

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

15 აპრილი 2022

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)	2020 წლის 1 იანვარი (შესწორებული)
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	512	1,246	1,141
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	5,528	6,007	5,435
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	15	6,802	5,838	6,676
გადაზღვევის აქტივები	6	4,905	5,140	2,556
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	16	1,672	2,283	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	17	3,394	3,289	2,833
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	18	929	692	1,268
საინვესტიციო ქონება	20	2,013	1,933	1,689
ძირითადი საშუალებები	19	1,110	2,195	2,655
სხვა აქტივები	21	3,017	5,239	3,566
		29,882	33,862	27,819
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	22	3,238	3,238	3,238
საემისიო კაპიტალი		4,390	4,390	4,390
გაუნაწილებელი მოგება		2,208	2,994	2,046
		9,836	10,622	9,674
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	6	11,170	11,324	9,189
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	23	4,005	5,130	3,789
მიღებული სესხები		243	12	235
საიჯარო ვალდებულებები	24	1,155	3,193	2,848
სხვა ვალდებულებები	25	1,712	1,880	767
მიმდინარე გადასახდელი მოგების გადასახადი		953	876	876
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	26	808	825	441
		20,046	23,240	18,145
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,882	33,862	27,819

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 15 აპრილს:

გიორგი სულამანიძე	შორენა ნაცვლიშვილი
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-44 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)	2020 წლის 1 იანვარი (შესწორებული)
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	512	1,246	1,141
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	5,528	6,007	5,435
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	15	6,802	5,838	6,676
გადაზღვევის აქტივები	6	4,905	5,140	2,556
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	16	1,672	2,283	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	17	3,394	3,289	2,833
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	18	929	692	1,268
საინვესტიციო ქონება	20	2,013	1,933	1,689
ძირითადი საშუალებები	19	1,110	2,195	2,655
სხვა აქტივები	21	3,017	5,239	3,566
		29,882	33,862	27,819
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	22	3,238	3,238	3,238
საემისიო კაპიტალი		4,390	4,390	4,390
გაუნაწილებელი მოგება		2,208	2,994	2,046
		9,836	10,622	9,674
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	6	11,170	11,324	9,189
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	23	4,005	5,130	3,789
მიღებული სესხები		243	12	235
საიჯარო ვალდებულებები	24	1,155	3,193	2,848
სხვა ვალდებულებები	25	1,712	1,880	767
მიმდინარე გადასახდელი მოგების გადასახადი		953	876	876
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	26	808	825	441
		20,046	23,240	18,145
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,882	33,862	27,819

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 15 აპრილს:

გიორგი სულამანიძე	შორენა ნაცვლიშვილი
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-44 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)
გამომუშავებული პრემია		21,604	22,806
გადამზღვევლის წილი გამომუშავებულ პრემიაში		(9,261)	(6,157)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	4	12,343	16,649
საპროცენტო შემოსავალი	7	453	510
მოგება საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების შეფასებიდან	20	80	244
სხვა შემოსავალი	8	34	3,576
სულ შემოსავალი		12,910	20,979
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	5	(13,643)	(14,452)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	5	7,425	4,005
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	6	1,279	(1,651)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	6	(508)	814
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(5,447)	(11,284)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(2,712)	(2,561)
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	9	(926)	(927)
გაუფასურების ხარჯი	10	(1,681)	(1,858)
აკვიზიციის ხარჯი, ნეტო	11	(1,709)	(1,754)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(370)	(514)
საპროცენტო ხარჯი	7	(144)	(224)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(463)	(1,086)
წმინდა ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	12	(273)	(279)
სულ ხარჯები		(13,725)	(20,487)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(815)	492
მოგების გადასახადის ხარჯი	17	29	456
წლის (ზარალი)/მოგება		(786)	948
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი		(786)	948

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12-44 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 1 იანვარი	3,238	4,390	1629	9,257
შეცდომის გასწორება	-	-	417	417
2020 წლის 1 იანვარი (შესწორებული)	3,238	4,390	2,046	9,674
წლის მოგება	-	-	948	948
2020 წლის 31 დეკემბერი	3,238	4,390	2,994	10,622
წლის ზარალი	-	-	(786)	(786)
2021 წლის 31 დეკემბერი	3,238	4,390	2,208	9,836

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12-44 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სადაზღვევო პრემიის შემოდინება	20,493	22,053
გადამზღვევლისთვის გადახდილი თანხა	(860)	(1,207)
გადახდილი ზარალები	(14,324)	(15,313)
აკვიზიციის ხარჯი	(1,925)	(1,537)
მიღებული რეგრესი	443	508
ფულადი სახსრების გადახდა თანამშრომლებისთვის	(3,203)	(2,969)
საპროცენტო შემოსავალი	181	427
სხვა გადახდები	(2,038)	(946)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში	(1,233)	1,016
გადახდილი ჯარიმები	-	(10)
გადახდილი გადასახადები	(1,260)	(788)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში	(2,493)	218
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
დეპოზიტეტებიდან თანხების გამოტანა	207	165
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(156)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	207	9
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ოვერდრაფტები	146	(80)
მიღებული სესხები	963	(1)
ინვესტიციის/აქციების გაყიდვა	498	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	1,607	(81)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	(679)	146
ფულისა და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,246	1,141
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე	(55)	(41)
ფულისა და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	512	1,246

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12-44 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ (შემდგომში „ჯგუფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. ჯგუფი ფუნქციონირებს სათავო ოფისის და სამი სერვის ცენტრის მეშვეობით და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში. ჯგუფის რეგისტრაციის მისამართია მოსაშვილის ქ. 24, თბილისი, 0162 საქართველო.

ჯგუფი დაფუძნდა 2005 წელს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის “ სახელწოდებით. 2009 წელს ჯგუფმა შეიძინა და შეირწყა სს „სახალხო დაზღვევა“. 2018 წლის ბოლოს, Euroins Insurance Group AD-მ (ბულგარეთი) შეიძინა ჯგუფის 50.04% და შეიცვალა ჯგუფის სახელი, როგორც სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“.

ჯგუფის აქციონერები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ევროინს ინშურენს ჯგუფი (ბულგარეთი)	50.04%	50.04%
შპს ალთეგი	49.55%	49.55%
IIC Georgia B.V.	0.41%	0.41%

ჯგუფის უმაღლეს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ასსენ მილკოვ ჩრისტოვ (ბულგარეთი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდეგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის კონსოლიდირებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-27 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარდების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2021 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ ჯგუფის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
სხვადასხვა	*საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმის ფაზა 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 16, ფასს 4, ფასს 7) შესწორებები*

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია ჯგუფის

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ჯგუფის ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ
ფასს 16	*COVID-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ*	*1 აპრილი 2021*
ფასს 3	*კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)*	*1 იანვარი 2022*
ბასს 16	*შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)*	*1 იანვარი 2022*
ბასს 37	*დამამძიმებელი კონტრაქტი – კონტრაქტის შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)*	*1 იანვარი 2022*
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	*ფასს 2018-2020 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)*	*1 იანვარი 2022*
ფასს 17	*სადაზღვევო კონტრაქტები*	*1 იანვარი 2023*
ფასს 4	*ფასს 9-ის დროებით მიღებიდან პრივილეგიის გახანგრძლივება (ცვლილებები ფასს 4-ში)*	*1 იანვარი 2023*
ფასს 17	*ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 1	*ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 12	*გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ტრანზაქციით წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებზე (ცვლილებები ბასს 12-ში)*	*1 იანვარი 2023*

2.6 შვილობილი საწარმოები

2021 წლის 31 დეკემბერი	წილი	ქვეყანა	კონტროლის მოპოვების თარიღი	ინდუსტრია
Global call Ltd	100%	საქართველო	2010	სატელეფონო სერვისი
Shardeni 2017 Ltd	100%	საქართველო	2007	უძრავი ქონება
IC Assistance Ltd	100%	საქართველო	2006	სადაზღვევო მომსახურების სერვისი
Legal Insurance group Ltd	50%	საქართველო	2007	იურიდიული მომსახურება

არცერთი შვილობილი კომპანია 2021 წლის და მისი შესადარისი ყველა პერიოდისთვის არ არის ფინქციონირებადი საწარმო.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შვილობილი კომპანიების შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებსა და ვალდებულებებს. შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის ელიმინირდება.

დედა კომპანია ფლობს მხოლოდ არაფუნქციონირებად შვილობილ კომპანიებს 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. იმის გათვალისიწნებით, რომ დედა კომპანიის შვილობილი კომპანიები არ ფუნქციონირებენ, არ გააჩნიათ აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად დედა კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ განსხვავდება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომელიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობის იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია, როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის

განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

3.4 მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხორციელდება სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და თვითღირებულებით. დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების მიღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს სადაზღვევო და გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომელიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ. გადაზღვევის პრემიის შემოსავლად აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც მოხდებოდა, გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად რომ ითვლებოდეს, გადაზღვევის პროდუქტების კლასიფიკაციის შესაბამისად. გადამზღვევლებისთვის გადასახდელი თანხები გამოითვლება შესაბამისი გადამზღვევლის პოლიტიკისა და გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. გადაცემული პრემიები და გადახდილი მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების გადაცემული წილის გაუფასურების ტესტირება. საგადაზღვევო დებიტორული დავალიანება უფასურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ მიიღოს ხელშეკრულების მიხედვით ყველა მისაღები თანხა და რომ ამის გაზომვა სათანადოდ შეიძლება

3.5 ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის ამოუწურავ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია, თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღით, ფაქტობრივი მოთხოვნების პროგნოზირების სტანდარტული მეთოდებისა და არსებული დაშვებების გამოყენებით ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. არ ხდება კატასტროფული შემთხვევების რეზერვის აღიარება. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე. კომპანია ამოუწურავ რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების წარსული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. სხვაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.6 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას (მინუს აკვიზიციის გადავადებული ხარჯი).

3.7 გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და ამორტიზდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში. პრემიების მოზიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება ხარჯად მათი გაწევისთანავე. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მოიცავს გაყიდვების აგენტების პოლისების გაცემისთვის გადახდილ საკომისიოს.

3.8 სადაზღვევო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

მოზიდული პრემია და გამომუშავებული პრემიის რეზერვი

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც განხორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთანდაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი.

გადაზღვევის პრემია და გამომუშავებული გადაზღვევის პრემიის რეზერვი

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომელიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

3.9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და საბანკო ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და არ აქვთ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

3.10 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა, როგორც:

- სესხები და მოთხოვნები - არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქნილი ზარალი. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები - არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა დაფარვის ვადამდე შენარჩუნების განზრახვა აქვს ჯგუფს. სესხების და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქნილი ზარალი;
- ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში - ფინანსური აქტივები მფლობილი სავაჭროდ, რომელთა ფლობაც გამიზნულია ხანმოკლე ვადით ან რომლისთვისაც არსებობს უახლესი მოგება ვაჭრობის შედეგად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. კერძოდ შეფასება ხდება იმისა, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური ინდიკატორი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვა. სადაზღვევო პრემიის მოთხოვნების (იხ. ქვემოთ) შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად არ ხდება გაუფასურების შეფასება, ჯგუფი აფასებს გაუფასურებას კოლექტიურად, წარსულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით. ამ რეზერვის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადა არის ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ჩამოწერილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება ზარალში.

დაზღვევასთან დაკავშირებული აქტივები

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა არის გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამი;
- მოთხოვნა გადამზღვევლისგან არის გადამზღვევლის წილი გადასახდელ ზარალებში;
- გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში;
- რეგრესის მოთხოვნა არის მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

3.11 რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები

რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები აღიარებულია მათი პირველადი, ფაქტურული ღირებულებით. თუ ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მისაღები ანგარიშების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

3.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით და იგი მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ მომავალში შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შენობები და სხვა აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ იჯარით აღებულ ძირითადი საშუალებებს შედის ძირითად საშუალებების კატეგორიაში, თუ ისინი წარმოადგენენ აქტივების გამოყენების უფლებას. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით). კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობები	- 25 წელი
იჯარით აღებული შენობისკეთილმოწყობა	- 5 წელი
სხვა	- 7 წელი

ვინაიდან მიწის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.13 აქტივის გამოყონების უფლება

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ,

საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.
იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს
გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ
ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

- კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის;

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.
მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ

თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო

ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.
მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3.14 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

3.15 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების დანიშნულებაა საიჯარო შემოსავლის მიღება და/ან ქონების საბაზრო ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო მონაცემებს საანგარიშგებო თარიღში. საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

3.16 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.17 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. დივიდენდები აღიარდება მისი გამოცხადებისა და დამტკიცებისას.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია აქციონერებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

3.18 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის ჯგუფი (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და ჯგუფს სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

3.19 საბანკო ანგარიშები და ანაბრები

ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

საბანკო ანაბრები მოიცავს თანხებს განთავსებულს საბანკო ანგარიშებზე, საიდანააც კომპანია იღებს დამატებით სარგებელს.

3.20 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

მოსალოდნელია, რომ მოკლევადიანი თანამშრომელთა სარგებელი განისაზღვრება წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, სრული თორმეტი თვისთვის წინასწარ, რომელშიც თანამშრომლები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. ეს სარგებელი მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებასა და პრემიებს;

(ბ) წლიურ და შრომისუუნარობის მიზეზით მიღებულ ანაზღაურებულ შვებულებებს;

3.21 სხვა შემოსავალი

იმისათვის, რომ სხვა შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

4 წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი 2021	მოზიდული პრემია / (გაუქმებები)	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია
ჯანმრთელობა	8,971	(3,843)	5,128
კასკო	4,531	(2,206)	2,325
ავტო TPL (სავალდებულო)	1,275	-	1,275
ქონება	1,121	(613)	508
ფინ. დანაკარგების რისკი	1,509	(956)	553
სოფლის მეურნეობა	2,315	(1,088)	1,227
ავტო TPL	621	-	621
საინჟინრო რისკები	70	(42)	28
კარგო	751	(483)	268
სხვა	1,562	(302)	1,260
	22,726	(9,533)	13,193
გამოუმუშავებელი პრემიის ცვლილება	(1,122)	272	(850)
წმინდა გამომუშავებული პრემია	21,604	(9,261)	12,343

ათასი ლარი 2020	მოზიდული პრემია / (გაუქმებები)	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია
ჯანმრთელობა	9,662	(2,870)	6,792
კასკო	6,689	(2,386)	4,303
ავტო TPL (სავალდებულო)	1,203	-	1,203
ქონება	896	(500)	396
ფინ. დანაკარგების რისკი	1,601	(928)	673
სოფლის მეურნეობა	644	(321)	323
ავტო TPL	957	-	957
საინჟინრო რისკები	36	(21)	15
კარგო	512	(295)	217
სხვა	939	(455)	484
	23,139	(7,776)	15,363
გამოუმუშავებელი პრემიის ცვლილება	(333)	1,619	1,286
წმინდა გამომუშავებული პრემია	22,806	(6,157)	16,649

ჯანმრთელობის დაზღვევა მოიცავს პროდუქტს სახელწოდებით „სიცოცხლის დაზღვევა“. რეალურად ეს პროდუქტი არის მოკლევადიანი სადაზღვევო კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბენეფიციარი იღებს ფიქსირებულ თანხას თუ კონტრაქტის ვადის განმავლობაში გარდაიცვლება დაზღვეული პირი.

ავტო TPL (სავალდებულო) - ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. მის ადმინისტრირებას ახორციელებს აიპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“. ცენტრმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 1 მარტიდან. სავალდებულო ავტო TPL დაზღვევა არის ერთობლივი ოპერაცია, სადაც 18 ქართული სადაზღვევო კომპანია (ჯგუფის ჩათვლით) არიან ერთობლივი ოპერატორები და თანაბრად ინაწილებენ სადაზღვევო შემოსავალს და რისკებს. UPR წარმოდგენილია მე-6 გ/შენიშვნაში.

5 ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი 2021	ანაზღაურებული	გადამზღვევლის წილი	წმინდა ანაზღაურება
ჯანმრთელობა	8,231	(4,129)	4,102
ავიაციასთან დაკავშირებული	-	-	-
კასკო	4,632	(2,227)	2,405
სოფლის მეურნეობა	1,131	(791)	339
ქონება	203	(156)	47
სხვა	992	(122)	871
ზარალების დარეგულირების ხარჯები	146	-	146
შემოსავალი რეგრესიდან	(1,692)	-	(1,692)
	13,643	(7,425)	6,218

ათასი ლარი 2020	ანაზღაურებული	გადამზღვევლის წილი	წმინდა ანაზღაურება
ჯანმრთელობა	8,023	(1,810)	6,213
ავიაციასთან დაკავშირებული	39	(39)	-
კასკო	5,992	(1,210)	4,782
სოფლის მეურნეობა	599	(464)	135
ქონება	62	(39)	23
სხვა	1,435	(443)	992
ზარალების დარეგულირების ხარჯები	140	-	140
შემოსავალი რეგრესიდან	(1,838)	-	(1,838)
	14,452	(4,005)	10,447

6 სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	7,216	6,094
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	3,843	4,885
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	111	345
	11,170	11,324

გადაზღვევის აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადამზღვევლის წილი UPR-ში	2,560	2,288
გადამზღვევლის წილი RBNS-ში	2,345	2,852
გადამზღვევლის წილი IBNR-ში	-	-
გადაზღვევის აქტივები	4,905	5,140

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი წმინდა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნეტო UPR	4,656	3,806
ნეტო RBNS	1,498	2,033
ნეტო IBNR	111	345
	6,265	6,184

ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მოძრაობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
1 იანვრის მდგომარეობით	6,094	5,762
მოზიდული პრემია	22,726	23,138
გამომუშავებული პრემია	(21,604)	(22,806)
31 დეკემბერის მდგომარეობით	7,216	6,094

ბ) UPR-ში გადამზღვევლის წილის მოძრაობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
1 იანვრის მდგომარეობით	2,288	669
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	9,533	7,776
გადამზღვევლის წილი გამომუშავებულ პრემიაში	(9,261)	(6,157)
31 დეკემბერის მდგომარეობით	2,560	2,288

გ) ნეტო UPR-ის მოძრაობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
1 იანვრის მდგომარეობით	3,806	5,093
ნეტო მოზიდული პრემია	13,193	15,362
ნეტო გამომუშავებული პრემია	(12,343)	(16,649)
31 დეკემბრის მდგომარეობით	4,656	3,806

დ) ბრუტო ზარალების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	4,885	3,406
IBNR 1 იანვრის მფგომარეობით	345	173
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	5,230	3,579
პერიოდის განმავლობაში დამდგარი ზარალები	12,364	16,103
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(13,643)	(14,452)
ცვლილება ზარალების რეზერვებში	(1,279)	1,651
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,843	4,885
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	111	345
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,954	5,230

ე) ზარალების რეზერვში გადამზღვევლის წილის მოძრაობის ანალიზი:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	2,852	2,039
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	2,852	2,039
პერიოდის განმავლობაში დამდგარი ზარალები	6,918	4,818
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(7,425)	(4,005)
ცვლილება ზარალების რეზერვებში	(507)	813
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,345	2,852
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,345	2,852

ვ) ნეტო ზარალების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	2,033	1,367
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	345	173
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	2,378	1,540
პერიოდის განმავლობაში დამდგარი ზარალები	5,449	11,285
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(6,218)	(10,447)
ცვლილება ზარალების რეზერვებში	(769)	838
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,498	2,033
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	111	345
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,609	2,378

7 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	222	234
საპროცენტო სემოსავალი გაცემული სესხებიდან	223	267
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან	8	9
	453	510

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	(13)	(4)
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	(131)	(220)
	(144)	(224)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	309	286

8 სხვა შემოსავალი და ხარჯი

სხვა შემოსავლები და ხარჯები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
არარეალიზებული მოგება სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან (გ/შ 16)	(116)	1,928
ჯარიმის დაბრუნება*	-	929
მოგება გაუფასურებული ფინანსური აქტივის გადაცემიდან	4	629
საიჯარო შემოსავალი	110	51
სხვა	36	39
	34	3,576

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
აღდგენილი დავალიანების გადაცემა**	-	629
"სავალდებულო დაზღვევის ცენტრი" საწევროები	254	203
საბაჟო და სხვა გადასახადები	52	72
სხვა	157	182
სულ სხვა ხარჯები	463	1,086

*ჯგუფმა 2011 წელს შეცდომით გადარიცხა თანხა აღსრულების ეროვნულ ბიუროში 928,587 (ერთეული) ლარის ოდენობით, რის შემდეგაც მიმართა სასამართლოს აღნიშნული თანხის დასაბრუნებლად. 2020 წლის 15 ოქტომბრი უზენაესი სასამართლოს განჩინების საფუძველზე აღნიშნული დარიცხვა მიჩნეულ იქნა არასწორედ და აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაევალა აღნიშნული თანხის დაბრუნება.

** ჯგუფმა აიღო პასუხისმგებლობა ევროინსის მიერ ჯგუფის წილის შესყიდვამდე არსებული გაუფასურებული მოთხოვნების დაბრუნების შემთხვევაში მათ გადაცემაზე უმცირესი წილის მფლობელისთვის. შესაბამისად წინა პერიოდში ჩამოწერილი და მიმდინარე წელს აღდგენილი მოთხოვნის თანხა ჯგუფმა დათმო უმცირესი წილის მფლობელის სასარგებლოდ.

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ზედამხედველობის გადასახადი	217	228
იურიდიული და საკონსულტაციო	183	194
სხვადასხვა მომსახურებები	16	101
წარმომადგენლობითი	6	79
საკომუნიკაციო	58	65
კომუნალური	40	34
ტრანსპორტირება	22	12
იჯარა	67	11
ძ/საშუალებების რემონტი	19	12
სხვა	298	191
	926	927

10 გაუფასურების ხარჯი

გაუფასურების ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
გადაზღვევის მოთხოვნის გაუფასურება	-	1,556
სხვა აქტივები (გ/შ 21)	1,316	1,088
სადაზღვევო მოთხოვნები (გ/შ 15)	365	131
ჩამოწერილი სხვა აქტივების ამობრუნება (გ/შ 21)	-	(629)
სადაზღვევო მოთხოვნების ამობრუნება (გ/შ 15)	-	(288)
	1,681	1,858

11 აკვიზიციის ხარჯი, ნეტო

აკვიზიციის ხარჯი, ნეტო 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
აკვიზიციის ხარჯი	4,895	4,056
აკვიზიციის ამორტიზაცია	(3,186)	(2,302)
აკვიზიციის ხარჯი ნეტო	1,709	1,754

12 წმინდა მოგება კურსთა შორის სხვაობიდან

წმინდა მოგება ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
არარეალიზებული კურსთაშორისი მოგება/ზარალი	(215)	(238)
რეალიზებული კურსთაშორისი მოგება/ზარალი	(58)	(41)
	(273)	(279)

13 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
შრომის ანაზღაურება	2,341	2,220
ბონუსები	371	341
	2,712	2,561

14 ფული და ფულის ეკვივალენტი და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ

ფული და ფულის ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	500	1,233
ნაღდი ფული	12	13
	512	1,246

კომპანია (ინდივიდუალურად) ფლობდა ფულს და ფულის ეკვივალენტებს 511 ათასი ლარის ოდენობით (2020: 1,246 ათასი ლარი) როდესაც სარეგულაციო კანონმდებლობის მოთხოვნით, უწევდა ჰქონოდა მინიმუმ 213 ათასი ლარი (2020: 334 ათასი ლარი).

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სს ჰალიკ ბანკი საქართველო	4,732	4,489
სს ტერაბანკი	159	1,016
სს იშბანკი საქართველო	637	-
სს ვითიბი ბანკი საქართველო	-	502
	5,528	6,007

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოდგენილია მოკლევადიანი (12 თვეზე ნაკლები) დეპოზიტების სახით ქართულ ბანკებში, წლიური საპროცენტო განაკვეთით 3.1% დან 4%-მდე (2020 – 3.1%-დან 4.3%). მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს 1,252 ლარს (2020: 1,731 ლარი) შეზღუდულ დეპოზიტებზე, რომლებიც გამოიყენება როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფა, სარეგულაციო კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოთ წარმოდგენილი ნაშთების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

15 მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები დაზღვევიდან	7,758	6,497
მოთხოვნები გადაზღვევიდან	602	2,158
გაუფასურების რეზერვი	(1,558)	(2,817)
	6,802	5,838

ზემოთ წარმოდგენილი ნაშთების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი. საკრედიტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია 32-ე შენიშვნაში.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 იანვრის მდგომარეობით	2,817	1,347
წლის ხარჯი	297	1,758
ჩამოწერა	(1,556)	(288)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,558	2,817

ჯგუფს გადაზღვევის მოთხოვნა აქვს 1 კონტრაგენტისგან, საიდანაც 1,556 ლარი გაუფასურებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16 სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია 25,000 ცალი SYNTHETICA AD-ს აქციებით. ჯგუფმა აქციები შეისყიდა 2020 წლის 29 დეკემრბრს: 1 ცალი აქციის შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 3.55 ევრო (ერთეულ ვალუატში), შესაბამისად ჯამურმა ღირებულებამ 89 ევრო. ჯგუფმა 2021 წლის 17 თებერვალს და 2021 წლის 22 დეკემბერს გაყიდან 3,000 ცალი და 2,635 ცალი აქცია, შესაბამისად. ჯგუფმა 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდომარეობებით შეაფასა ფინანსური ინსრუმენტები რეალური ღირებულებებით, შეფასების შედეგად კომპანიას წარმოექმნა არასაოპერაციო მოგება 479 ევრო (ექვივალენტი 1,918 ლარი) 2020 წელს და 33 ევრო (ექვივალენტი 116 ლარი) 2021 წელს.

უნდა აღინიშნოს რომ აქციებისთვის არსებობს აქტიური ბაზარი.

17 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახდისა და გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
მიმდინარე გადასახადი	(77)	-
გადავადებული გადასახადი	106	456
	29	456

ათასი ლარი	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე	(815)	492
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	122	(74)
არაგამოქვითვადი საგადასახადოხარჯი	(93)	530
	29	456

საგადასახადო და ფინანსური მოგების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი 2021	2021 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება-ზარალში	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები, არამატერიაული აქტივები	(187)	164	(23)
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	(289)	80	(209)
გაცემული სესხები	878	3	881
გადაზღვევის აქტივები	301	124	425
სხვა აქტივები	701	137	838
სადაზღვევო მოთხოვნები	802	47	849
სადაზღვევო ვალდებულებები	(219)	(47)	(266)
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	(189)	(108)	(297)
ფინანსური იჯარა	479	(306)	173
სხვა ვალდებულებები	(5)	11	6
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	1,017	-	1017
	3,289	105	3,394

ათასი ლარი 2020	2020 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება-ზარალში	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები, არამატერიაული აქტივები	(268)	81	(187)
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	-	(289)	(289)
გაცემული სესხები	875	3	878
გადაზღვევის აქტივები	133	168	301
სხვა აქტივები	541	160	701
სადაზღვევო მოთხოვნები	739	63	802
სადაზღვევო ვალდებულებები	(234)	15	(219)
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	(96)	(93)	(189)
ფინანსური იჯარა	426	53	479
სხვა ვალდებულებები	4	(9)	(5)
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	713	304	1,017
	2,833	456	3,289

18 გადავადებული აკვიზიციის ხარჯები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 იანვრის მდგომარეობით	692	1,266
გადავადებული შესყიდვის ხარჯი	2,392	915
ამორტიზაცია	(2,155)	(1,489)
31 დეკემბრის მდგომარეობით	929	692

19 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარში	ოფისის აღწურვილობა	იჯარით აღებულის მოწყობა	აქტივი გამოყენების უფლებით	სულ
თვითღირებულება	1,470	1,149	2,529	5,148
შემოსვლა	104	-	-	104
გასვლა	(7)	-	(53)	(60)
31 დეკემბერი 2020	1,567	1,149	2,476	5,192
თვითღირებულება	1,567	1,149	2,476	5,192
შემოსვლა	23	-	-	23
გასვლა	(25)	-	-	(25)
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	(871)	(871)
31 დეკემბერი 2021	1,565	1,149	1,605	4,319
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2020	1,029	1,141	323	2,493
ცვეთის ხარჯი	121	5	383	509
ცვეთის გასვლა	(1)	-	(4)	(5)
31 დეკემბერი 2020	1,149	1,146	702	2,997
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021	1,149	1,146	702	2,997
ცვეთის ხარჯი	126	3	235	364
ცვეთის გასვლა	(25)	-	-	(25)
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	(127)	(127)
31 დეკემბერი 2021	1,250	1,149	810	3,209
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	418	3	1,774	2,195
31 დეკემბერი 2021	315	-	795	1,110

20 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საინვესტიციო ქონება 1 იანვარი	1,933	1,689
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	80	244
საინვესტიციო ქონება 31 დეკემბერი	2,013	1,933

ჯგუფის საინვესტიციო ქონება მოიცავს შარდენის ქუჩა არსებულ შენობას, რომელიც იჯარით არის გაცემული 2021 და 2020 წლების განმავლობაში. ამიტომ აღნიშნული ფართი აღიარდა როგორც საინვესტიციო ქონება, რომელიც შეფასებული იქნა სამართლიანი ღირებულებით. შეფასება გახორციელდა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS) შესაბამისად, საბაზრო მეთოდის გამოყენებით.

21 სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	1,981	2,668
მოთხოვნა რეგრესიდან გაუფასურებული რეზერვის გამოკლებით	575	999
მოთხოვები არსწორად დაარიცხული ჯარიმის დაბრუნდებიდან (გ/შ 8**)	-	929
	2,556	4,596

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	100	213
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	150	235
არამატერიალური აქტივები ამორტიზაციის გამოკლებით	4	10
სხვა	207	185
	461	643
	3,017	5,239

ჯგუფის აქტივებზე დარიცხული რეზერვი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდენაირად:

ათასი ლარი	მთლიანი გაცემული თანხა	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
გაცემული სესხები	7,851	(5,870)	1,981
მოთხოვნა რეგრესიდან	5,956	(5,381)	575
	13,807	(11,251)	2,556

ჯგუფის აქტივებზე დარიცხული რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდენაირად:

ათასი ლარი	მთლიანი გაცემული თანხა	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
გაცემული სესხები	8,518	(5,850)	2,668
მოთხოვნა რეგრესიდან	5,465	(4,466)	999
	13,983	(10,316)	3,667

22 სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად: სააქციო კაპიტალი შედგება 3,238,000 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეული 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, რომელიც მთლიანად იყო შევსებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020: 3,238,000 ცალი).

23 სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები გადაზღვევიდან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ	606	2,691
გადასახდელი დარეგულირებული ზარალები	3,399	2,439
	4,005	5,130

24 საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	300	846
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	855	2,347
	1,155	3,193

25 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი საკომისიო	1,194	757
კრედიტორული დავალიანება	376	617
მიღებული ავანსები	-	-
სხვა ვალდებულებები	103	506
გადასახდელი ხელფასები	39	-
	1,712	1,880

26 სხვა საგადასახადო ვალდებულება

ჯგუფის ძირითადი საგადასახადო ვალდებულება შედგება საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებისგან.

27 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ზარალები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას. შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების

ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინასნურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმეტეს ნაწილს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად

დაზღვევიდან, გადაზღვევიდან და რეგრესიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

ჯგუფი აფასებს კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საინვესტივიო ქონების სამართლიანი ღირებულება

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი პროფესიულად კვალიფიცირებული შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენებით. შეფასება შესაძლოა შეიცვალოს, ახალი გარიგების და საბაზრო მტკიცებულების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

28 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული და მისი ეკვივალენტები	512	1,246
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5,528	6,007
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	6,802	5,838
გადაზღვევის აქტივები	4,905	5,140
სხვა აქტივები	3,017	5,239
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	1,672	2,283
	22,436	25,753

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	11,170	11,324
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	4,005	5,130
მიღებული სესხები	243	12
საიჯარო ვალდებულება	1,155	3,193
	16,573	19,659

29 სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის რისკი, რომ დადგება გაურკვეველი ოდენობის და ვადის სადაზღვევო შემთხვევა. ძირითადი რისკი, რომელიც დგას ჯგუფის წინაშე ასეთი ხელშეკრულებების პირობებში არის ის, რომ ფაქტობრივი ზარალები აღემატება სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ოდენობას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე, ზარალების სიმძიმე, ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურება მეტია თავდაპირველად შეფასებულზე და შემდგომ გრძელვადიანი ზარალების განვითარება.

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება ზარალის რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, ვინაიდან, რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია პორტფელი, მით ნაკლებად სავარაუდოა საერთო ზეგავლენა პორტფელის რაიმე ნაწილის ცვლილების გამო, ასევე, მოულოდნელი შედეგები. რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ასევე ხდება სადაზღვევო სტრატეგიისა და ხელმძღვანელი მითითებების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით, აგრეთვე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით.

ჯგუფი ადგენს სადაზღვევო სახელმძღვანელო მითითებებსა და ლიმიტებს, რომლებიც განსაზღვრავს, ვინ რა რისკი შეიძლება მიიღოს და გამოსაყენელ ლიმიტებს. ხორციელდება ამ ლიმიტების მუდმივი მონიტორინგი.

ჯგუფი, მისი სადაზღვევო რისკის მონიტორინგისთვის, პირველ რიგში, იყენებს ზარალის კოეფიციენტს და კომბინირებულ კოეფიციენტს. ზარალის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც წმინდა სადაზღვევო პრეტენზიების შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი არის ზარალის კოეფიციენტის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამი. ხარჯების კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საოპერაციო ხარჯებს გამოკლებული საპროცენტო ხარჯი, გაყოფილი წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე. ჯგუფის ზარალის და ხარჯის კოეფიციენტები, გამოთვლილი წმინდა საფუძველზე იყო შემდეგი

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ზარალის კოეფიციენტი	44%	67%
ხარჯის კოეფიციენტი	67%	52%

ჯგუფის მიერ გახორციელებული დაზღვევის ტიპები ძირითადად 12-თვიანია. ყველაზე არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი. სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, ეპიდემიების და მსგავსი შემთხვევების შედეგად. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემოსავლებზე.

30 სადაზღვევო რისკის მართვა

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს ჯგუფის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. ჯგუფი იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე. ჯგუფი ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით, რათა შეამციროს კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრითა და წყალდიდობით გამოწვეული ზარალები.

31 განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და ჯგუფის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის

მიერ გადასახდელი თანხებით. ჯგუფი ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც ჯგუფს ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: ჯგუფი განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც ოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ ჯგუფი მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგება-ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

32 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები წარმოიქმნება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყევებს საბაზრო ცვლადების ცვლილებების გამო, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები.

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი სავალუტო კურსების მერყეობის გამო (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რისკი (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების რისკი (ფასის რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ამდენად, ამჟამად არ არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე საპროცენტო რისკთან დაკავშირებით.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ძირითადი უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის მერყეობა. ჯგუფის ძირითადი ოპერაციები ხორციელდება ქართულ ლარში და უცხოური ვალუტების გაცვლის კურსთან დაკავშირებული რისკი წარმოიქმნება, უპირველეს ყოვლისა, აშშ დოლარის და ევროს მიმართ, ვინაიდან აშშ დოლარში დენომინირებული სადაზღვევო ოპერაციები წარმოადგენს ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში ნაჩვენებია ვალუტები, რომელთა მიმართ რისკს ჯგუფი მნიშვნელოვნად ექვემდებარებოდა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს მის არასავაჭრო მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებთან და მის საპროგნოზო ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. ანალიზის მეშვეობით გაანგარიშებულია სავალუტო კურსის ლართან მიმართებაში გონივრულად შესაძლებელი ცვლილების ეფექტი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის პირობებში. უარყოფითი მაჩვენებელი ცხრილში ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას, ხოლო დადებითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას:

ათასი ლარი

2021	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და მისი ეკვივალენტები	308	11
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5,528	-
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	3,010	272
გადაზღვევის აქტივები	2,779	240
	11,625	523
ფინანსური ვალდებულებები		
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	5,942	427
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	1,529	1,378
ფინანსური ვალდებულებები	-	10
საიჯარო ვალდებულება	1,155	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	136
	8,626	1,951
	2,999	(1,428)

ათასი ლარი

2020	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და მისი ეკვივალენტები	638	2
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6,007	-
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,843	182
გადაზღვევის აქტივები	1,704	211
სხვა აქტივები	-	-
	10,192	395
ფინანსური ვალდებულებები		
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	3,220	181
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	1,506	738
ფინანსური ვალდებულებები	-	9
საიჯარო ვალდებულება	3,193	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40	400
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
	7,959	1,328
	2,233	(933)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	დოლარი 2021	ევრო 2021	დოლარი 2020	ევრო 2020
მოგება-ზარალი	450	(214)	335	(140)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

ჯგუფი მართავს მის მიერ მიღებული საკრედიტო რისკის დონეს ჯგუფის ყოვლისმომცველი საკრედიტო რისკის პოლიტიკის მეშვეობით და აფასებს და განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფის საკრედიტო რისკს; ადგენს ზემოქმედების ლიმიტებს თითოეული კონტრაგენტის ან კონტრაგენტების ჯგუფის მიხედვით, გეოგრაფიულ და მრეწველობის სეგმენტების მიხედვით; იტოვებს გაქვითვის უფლებას, როდესაც კონტრაგენტი როგორც დებიტორი ისე კრედიტორია; ადგენს უზრუნველყოფის და გარანტიების მიღების სახელმძღვანელო მითითებებს; ახორციელებს საკრედიტო რისკების ზემოქმედების და დარღვევების შესახებ ანგარიშგებას მონიტორინგის ორგანოსთვის; მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობას და განიხილავს რისკის პოლიტიკას შესაბამისობაზე ცვალებად გარემოსთან. ქვემოთ მოცემულია მოკლე აღწერა, თუ როგორ მართავს ჯგუფი საკრედიტო რისკს:

გადაზღვევა

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გადაზღვევის ხელშეკრულებები, იგი არ თავისუფლდება პირდაპირი ვალდებულებებისგან დამზღვევების მიმართ და აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც რომელიმე გადამზღვეველმა შეიძლება ვერ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისად. ჯგუფი არც თავად არის დამოკიდებული ერთ გადამზღვეველზე არც ჯგუფის ოპერაციებია არსებითად დამოკიდებული გადაზღვევის რაიმე ხელშეკრულებაზე. არ არსებობს არც ერთი კონტრაგენტის მონაწილეობა, რომელიც აღემატება გადაზღვევის აქტივების საერთო ოდენობის 60%-ს საანგარიშგებო თარიღში. ჯგუფი რეგულარულად აფასებს მისი გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მართვა ჯგუფის მიერ ხორციელდება შიდა საკრედიტო შეფასების პროცედურით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით, ჯგუფის საკრედიტო შეფასების სისტემის საფუძველზე.

2021 წლის 31 დეკემბერი	არც ვადადამდგარი, არც გაუფასურებული	ვადადამდგარი, მაგრამ არა გაუფასურებული	სულ
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5,528	-	5,528
მოთხოვნები დაზღვევიდან	6,678	522	6,200
მოთხოვნები გადაზღვევიდან	602	-	602
	12,808	522	12,330

2020 წლის 31 დეკემბერი	არც ვადადამდგარი, არც გაუფასურებული	ვადადამდგარი, მაგრამ არა გაუფასურებული	სულ
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6,007	-	6,007
მოთხოვნები დაზღვევიდან	4,301	935	5,236
მოთხოვნები გადაზღვევიდან	602	-	602
	10,910	935	11,845

სადაზღვევო და გადაზღვევის მოთხოვნები, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, მოიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული 30 დღეზე მეტად საანგარიშო თარიღის მდგომარეობით. სადაზღვევო და გადაზღვევის მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებულია, მაგრამ არაა გაუფასურებული, მოიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტად.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციამ შესაძლოა განიცადოს სირთულეები თანხების მოძიების თვალსაზრისით ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება იყოს იმის შედეგი, რომ ვერ მოხერხდა ფინანსური აქტივების სწრაფად გაყიდვა მათი სამართლიანი ღირებულებით; ან კონტრაგენტმა ვერ დაფარა სახელშეკრულებო ვალდებულება; ან წარმოიშვა სადაზღვევო პასუხისმგებლობა მოსალოდნელზე უფრო ადრე გადახდისა; ან ვერ მოხერხდა ფულადი ნაკადების გამომუშავება, როგორც მოსალოდნელი იყო. ძირითადი ლიკვიდურობის რისკი, რომლის წინაშე დგას ჯგუფი, არის ყოველდღიური აუცილებლობა, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ფულადი რესურსები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ ზარალებთან მიმართებაში. ჯგუფი მართავს ლიკვიდურობას შესაბამისი რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს ლიკვიდურობის რისკს ჯგუფისთვის; განსაზღვრავს თანხების მინიმალურ წილს საგანგებო შენატანებისთვის; შეიმუშავებს დაფინანსების საგანგებო გეგმებს; აკონკრეტებს დაფინანსების წყაროებს და მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევს გეგმის ამოქმედებას; ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის შესაბამისობას ცვალებად გარემოსთან მიმართებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები მათი გადახდის ვადების შესაბამის ჯგუფებში, ხელშეკრულების მიხედვით გადახდამდე ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი პერიოდის საფუძველზე ანგარიშგების თარიღისთვის. თანხები და ვადები სადაზღვევო ვალდებულებებთან დაკავშირებით დაფუძნებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე, რომელიც ეფუძნება სტატისტიკურ მეთოდებს და წარსულ გამოცდილებას.

ათასი ლარი	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და მისი ეკვივალენტები	512		512
გაცემული სესხები	1,981	-	1,981
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	3,428	2,100	5,528
გადაზღვევის აქტივები	4,905		4,905
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	6,802	-	6,802
სხვა აქტივები	1,031	-	1,031
	18,659	2,100	20,759
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	11,170	-	11,170
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	4,005	-	4,005
მიღებული სესხები	243	-	243
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,712	-	1,712
საგადასახადო ვალდებულებები	1,761	-	1761
	18,891	-	18,891
წმინდა პოზიცია	(232)	2,100	1,868

ათასი ლარი	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და მისი ეკვივალენტები	1,246	-	1,246
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	3,197	2,810	6,007
გაცემული სესხები	2,668	-	2,668
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	5,838	-	5,838
გადაზღვევის აქტივები	3,456	935	4,391
სხვა აქტივები	2,561	-	2,561
	18,966	3,745	22,711
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10,635	689	11,324
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	5,130	-	5,136
მიღებული სესხები	12	-	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,880	-	1,880
საგადასახადო ვალდებულებები	1,701	-	1,701
	19,358	689	20,052
წმინდა პოზიცია	(390)	3,056	2,658

33 სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

33.1 ინვესტიციების და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება

კომპანიას გააჩნია ინვესტიცია აქციებში, რომელსაც გააჩნია აქტიური საბაზრო, შესაბამისად ამ აქტივის რეალური ღირებულება შეესაბამება სამართლიანი ღირებულების 1-ელ დონეს. ჯგუფს ასევე რეალური ღირებულებით აქვს აღრიცხული საინვესტიციო ქონება, რომელიც შეესაბამება სამართლიანი ღირებულების მე-2 დონეს.

34 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფმა ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.

- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

ჯგუფის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღუდველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

მიდგომა კაპიტალის მართვაზე

ჯგუფი ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს ჯგუფის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.
გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით ჯგუფში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით

კაპიტალის მართვა

საქართველოს სადაზღვევო სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის უზრუნველყოფა ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის #27 ბრძანების მიხედვით, მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობის გახორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 2,200 ლარზე ნაკლები და კომპანიას ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს ამ ოდენობის ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე.

საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 4,200 ლარზე (მოცემულია ათასებში) ნაკლები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №45-ის მიხედვით საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს: ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: 4,800 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან, გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან და დ) გადაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან. თანხა განთავსებულ უნდა იქნას ნაღდი ფულის, ფულთან გათანაბრებული სხვა საშუალებების და ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების სახით. კომპანია ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

კომპანია ახორციელებს კაპიტალის ოდენობის რეგულარულ მონიტორინგს, რათა გამორიცხოს მოთხოვნილი კაპიტალის დეფიციტი. იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ან შეცვალოს კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ცვლილება ან დივიდენდის ოდენობაში ან მოხდეს საკუთარი კაპიტალის გაზრდა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული

პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას. საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა ან 4,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2018 წლის 31 იანვრიდან პერიოდის განმავლობაში. 2021 წლის 31 დეკემბრიდან კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ლარზე ნაკლები. „საზედამხედველო კაპიტალი" განისაზღვრება ევროკავშირის მიერ დადგენილი ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ, „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" №16 დირექტივის შესაბამისად. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნებს.

35 პირობითი ვალდებულებები

35.1 იურიდიული

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება მიმდინარე სასამართლო დავების სავარაუდო შედეგების აღიარება. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს მიმდინარე დავებიდან, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა ან ოპერაციების შედეგებზე მომავალში.

36 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	მოკლევადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
1 იანვარი 2020	234	2,848	3,082
ფულადი			
შემოსვლა	480	-	480
ძირის გადახდა	(704)	(202)	(906)
პროცენტის გადხდა	(5)	-	(5)
არაფულადი			
დარიცხული პროცენტი	5	136	141
საკურსო სხვაობა	2	411	413
რეკლასიფიკაცია	-	-	-
31 დეკემბერ 2020	12	3,193	3,205
ფულადი			
შემოსვლა	2,680	-	2,680
ძირის გადახდა	(2,448)	(1,178)	(3,626)
პროცენტის გადახდა	(13)	-	(13)
არაფულადი			
დარიცხული პროცენტი	12	433	445
საკურსო სხვაობა	(1)	(69)	(70)
რეკლასიფიკაცია	-	(1,224)	(1,224)
	242	1,155	1,397

37 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები, კომპანიის მენეჯმენტი და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები როგორც აღწერილია ქვემოთ

37.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

ჯგუფი კონტროლდება ევროინს დაზღვევა ჯგუფის, მიერ, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 50.037% პროცენტს.

37.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 წლის პერიოდში კომპანიას ქონდა შემდეგი სახის ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ათასი ლარი	მენეჯმენტი	სამეთვალყურეო საბჭო	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	საბოლოო ბენეფიციარი
შემოსავალი				
სადაზღვევი პრემია	-	3	-	4
გადაზღვევის საკომისიო	-	-	3,072	-
გადაზღვევის წილი ზარალებში	-	-	2,397	-
	-	3	5,469	4
ხარჯები				
სადაზღვევო ზარალი	1	-	-	-
გადაზღვევის პრემია	-	-	8,266	-
ხელფასის ხარჯი	232	113	-	57
საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-
	233	113	8,266	57

2020 წლის პერიოდში კომპანიას ქონდა შემდეგი სახის ნაშთები და ოპერაციები დაკავშრიებულ მხარეებთან.

ათასი ლარი	მენეჯმენტი	სამეთვალყურეო საბჭო	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	საბოლოო ბენეფიციარი
შემოსავალი				
სადაზღვევი პრემია	-	4	-	8
გადაზღვევის საკომისიო	-	-	2,612	-
გადაზღვევის წილი ზარალებში	-	-	3,086	-
	-	4	5,698	8
ხარჯები				
სადაზღვევო ზარალი	1	-	-	-
გადაზღვევის პრემია	-	-	6,356	-
ხელფასის ხარჯი	370	109	-	55
საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-
	371	109	6,356	55

38 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა, ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ასევე სხვა სახელმწიფოებმა, ომის შეწყვეტის მიზნით, გადაწყვიტეს რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესება. სანქციები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა

იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ ამ კომპანიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, ეკონომიკურ ურთიერთობებზე იქონიებს გავლენას, ამ ეტაპზე შეუძლებელია საკმარისად ზუსტად შევაფასოთ რა მასშტაბისა იქნება ამ მოვლენების გავლენა კომპანიაზე და მის საქმიანობაზე. ზოგადად კომპანიას არ აქვს ურთიერთობები რუსეთში დაფუძნებულ კომპანიებთან.

39 შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება

2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტმა აღმოაჩინა შეცდომები შესადარის ინფორმაციასთან მიმართებაში. ჯგუფმა შეასწორა შესადარისი ინფორმაცია ქვემოთ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით.

ჯგუფმა 2020 და 2019 წელს IBNR-ის რეზერვი არასწორად აღიარა, კერძოდ გაანგარიშების პოლიტიკა არ შეესაბამებოდა ფასს 4 -ის მოთხოვნებს. შეცდომის ეფექტი, რომელიც ეხება 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდს მოცემულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. შეცდომის გავლენა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდთან დაკავშირებით შეადგენს 246 ათას ლარს. გამომდინარე აქედან, შემცირდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში დარიცხული რეზერვის თანხა და შესაბამისად შესწორდა ფინანსური ანგარიშების მოკორესპოდენტო მუხლი.

ჯგუფმა აგრეთვე განახორციელა რამდენიმე რეკლასიფიკაცია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კერძოდ შემცირდა სხვა საგადასახადო ვალდეუბლებები 876 (2019: 876) ათასი ლარის ოდენობით და გაიზარდა მიმდინარე გადასახდელი მოგების გადასახადი. ამასთანავე გადავადებული შესყიდვის ხარჯით შემცირდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გაიზარდა გადავადებული აკვიზიციის ხარჯები 672 ათასი ლარის ოდენობით (2019: 1,268).

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

სარჩევი

ისტორია, აქციონერები და მმართველობა 47
ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი 49

ისტორია, აქციონერები და მმართველობა

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია ფუნქციონირებს სათავო ოფისის და 2 სერვის ცენტრის მეშვეობით და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია მოსაშვილის ქ. 24, თბილისი, 0162 საქართველო.

კომპანია დაფუძნდა 2005 წელს, შპს „სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო კაპიტალის“ სახელწოდებით, რომელიც შემდგომში სს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის“ სახელწოდებით ოპერირებდა ბაზარზე 2018 წლის ბოლომდე. 2009 წელს კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია და მოხდა სს „სადაზღვევო კომპანია სახალხო დაზღვევის“ 100% წილის შეძენა, რასაც ამ ორი სადაზღვევო კომპანიის შერწყმა მოყვა. 2018 წლის ბოლოს კომპანიაში ასევე განხორციელდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება და კომპანია აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი დამოუკიდებელი სადაზღვევო ჯგუფის Euroins Insurance Group AD-ს (ბულგარეთი) წევრი გახდა. უცხოურმა კომპანიამ შეიძინა სადაზღვევო კომპანიის 50.04%. ამ ინვესტიციის შემდეგ მოხდა კომპანიის რებრენდინგი და დღეს ბაზარზე კომპანია ოპერირებს სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას“ სახელით.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება, ხოლო კომპანიის ოპერაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. ყოველდღიურ მართვას კი ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა გამოიყურება შემდეგნაირად:

	2020	2021
Euroins Insurance Group AD (ბულგარეთი)	50.04%	50.04%
თენგიზ მეზურნიშვილი	0.00%	49.55%
შპს ალთეგი	49.55%	0.00%
IIC Georgia B.V.	0.41%	0.41%
	100.00%	100.00%

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაშია:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გრიგოლ ლომიძე;
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანოვ მარკოვი;
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ვილემ ჯეიკობ ვესტერლაკენ;
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე -თენგიზ მეზურნიშვილი;
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ალექსანდრე ჩოჩია;
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ვასილ სტეფანოვ სტეფანოვ;

დირექტორტა საბჭოს შემადგენლობაშია:

გენერალური დირექტორი - გიორგი სულამანიძე
ფინანსური დირექტორი - ლევან კაკულია;
საოპერაციო დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - გიორგი სულამანიძე;
იურიდიული დირექტორი - ეთერ ჟორჟოლიანი;
მთავარი სტრატეგიოული დირექტორი - ულუდაგ კაგატაი.

კომპანია ფლობს შვილობილ კომპანიებს, კერძოდ, შპს „გლობალ ქოლს“ 100% და შპს „შარდენი 2017-ის“ 100%-ს. აღნიშნული კომპანიები ბაზარზე ჯერჯერობით არ ოპერირებენ.

კომპანიის მაღალ დონეზე გადაწყეტილებების მისაღებად ფინანსური ინფორმაციაა საჭირო, ხოლო დაბალ დონეზე გადაწყვეტილების არაფინანსური ინფორმაციის გამოყენება, ამას ის გარემოება იწვევს, რომ ფინანსური შედეგების ანალიზისათვის აუცილებელია შესწავლილ იქნას ის მიმართულებები, რომელთა შედეგად მიიღება ფინანსური შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორატიული მართვის სისტემატიზაცია, კორპორატიული მართვის ეფექტური მექანიზმის დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხიმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურ მიღებასთან.

ამ ყველაფრის განხორციელებისათვის კომპანია შემდეგ პრინციპებს იცავს:

- **კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა** - კომპანიის აქციონერები ყოველთვის დროულად იღებენ ინფორმაციას კომპანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ;
- **კომპანიის მმართველი ორგანოს ანგარიშვალდებულება, კონტროლი** - ეფექტური მმართველობისათვის საჭიროა ყველა ორგანოს პასუხიმგებლობის დონის განსაზღვრა, ამ მიზნით კომპანიაში დარგობრივი საკითხების მიხედვით ფუნქციონირებს კომიტეტები, რომელთა წევრები პასუხიმგებელნი არიან მიღებულ გადაწყვეტლებებზე, რაც საბოლოო ჯამში კომპანიის ეკონომიკურ კეთლდღეობაზე აისახება;
- **გამჭვირვალობა** - კომპანიის შესახებ ინფორმაცია, როგორც ფინანსური, ასევე კორპორატიული მართვის შესახებ გამჭვირვალეა და ყველა სახელმწიფო რეგულირებით დაწესებული ნორმების მიხედვით ქვეყნდება, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მომხმარებელს ასევე პოტენციურ ინვესტორებს კომპანიასთან ურთიერთობის დროს მიიღონ საჭირო ინფორმაცია;
- **თანამშრომელთა ჩართულობა** - კომპანიის ყველა რგოლის მუშაკი ჩართულია კომპანიის საქმიანობაში, დაბალი რგოლის მენეჯერებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება საკუთარი კომპეტენციის და პასუხიმგებლობის ფარგლებში დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება მომხმარებელთან ურთიერთობის დროს, თუმცა ხდება აღნიშნული გადაწყევტილებების მონიტორინგი, რომ ადგილი არ ჰქონდეს მომხმარებელთა უფლებების დარღვევას, ან არაკვალიფიციური გადაწყვეტილების მიღებას.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:

ისევე როგორც სადაზღვევო მომსახურების მოთხოვნა, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს გადახდისუნარიანი მომხმარებლის რაოდენობაზე.

ასევე მნიშვნელოვანი რისკია სავალუტო ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება.

თანამედროვე პირობებში აქტუალურია პანდემიის გაცლენა მთლიან სადაზღვევო ინდუსტრიასა და ასევე კონკრეტულად კომპანიის შემოსავლის ნაწილზე.

მიუხედავად არსებული რისკფაქტორებისა კომპანიაში ხდება გამოწვევების მიღება და სააგენტო ქსელის გაფართოების პროცესი. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, ძირითადად გაყიდვების ქსელი-საცალოს სეგმენტი.

2021 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებული იყო 139 თანამშრომელი. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკის ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

კომპანიაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, როგორც გაყიდვების სექტორში, ასევე ხარისხის, მომხმარებელთა მომსახურების ნაწილში, ამ მიმართულებით სისტემატურად ტარდება ტრეინინგები. ტრეინინგებს ატარებენ სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები/ხელმძღვანელები პროფილის მიხედვით და ასევე დაქირავებული სპეციალისტები.

მუდმივ ფორმატში ხდება საცალო ქსელისათვის ახალი პროდუქტების მიხედვით ინფორმაციის მიწოდება და ტრეინინგების წარმოება, რადგან სწორად და სრულად მოხდეს მათ მიერ ახალი სერვისების შესწავლა და მომხმარებლამდე მიტანა. სწორი და კვალიფიციური აღქმა კი საშუალებას მისცემს კომპანიას ჯანსაღი პორფელი შექმნას სხვადასხვა სეგმენტში. სწორედ კადრების კვალიფიციურობა ეხმარება კომპანიას, სწორად მოახდინოს საჭირო სეგმენტის განსაზღვრა და უზრუნველყოს მომხმარებელთა ხარისხიანი მომსახურება.



ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

კომპანიის სათაო ოფისი განთავსებულია კომპანიის იურიდიულ მისამართზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა შემდეგი მომსახურების ცენტრები:

- თბილისი, ფალიაშვილის ქ. 85
- ბათუმი, გორგილაძის ქ. 5

კომპანია არ ცვლის გაყიდვების პოლიტიკას და თვლის, რომ, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში მომსახურების ცენტრების

არსებობა ემსახურება გაყიდვების არეალის გაფართოებას და კომპანიის ცნობადობის გაზრდას.

კომპანიის პორფელში არსებული სადაზღვევო პროდუქტები, განკუთვნილია როგორც საცალო, ასევე კორპორატიული სეგმენტისთვის. კომპანია ფლობს როგორც სიცოცხლის, ასევე არა-სიცოცხლის დაზღვევის სფეროში საქმიანობის ლიცენზია. რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, მომხარებლეს შესთავაზოს სხვადასხვა ტიპის კომპლექსური სადაზღვევო პროდუქტი. 2021 წლის პორტფელის უდიდესი წილი სტატისტიკური მოზიდული პრემიის (ბრუტო) მიხედვით უჭირავს სამედიცინო დაზღვევას რასაც მოსდევს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა. კომპანია მონაწილეობს საქართველოს მთავრობის მიერ ინცირებულ „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ პროექტში. კომპანიას სწორი პოლიტიკა აქვს შერჩეული ფინანსური რისკების დაზღვევი მიმართულებით, ხდება რისკების სრულყოფილი ანალიტიკა და ამ მხრივ დაზღვევის ეს მიმართულება ერთ-ერთი კარგად გაყიდვათი და სარგებლიანი პროდუქტია კომპანიისთვის. ასევე სწორი ორგანიზება მოახდინა აგროდაზღვევის მიმართულებით და ბაზრის სხვა მოთამაშეებისგან განსხვავებით კომპანიისთვის ეს პროდუქტიც მომგებიანია.

სტატისტიკური მოზიდული პრემიის (ბრუტო) პროდუქტების მიხედვით განაწილების ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური: http://insurance.gov.ge/Statistics.aspx)



კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა უფლებებს. ამ სფეროში სრულყოფის მიზნით შექმნილია ხარისხის მართვის და მონიტორინგის სამსახური და მომხმარებელთა კმაყოფილების მონიტორინგის სამსახური, სადაც ხდება მომხმარებლის მიერ გამოთქმული ყველა პრეტენზიის განხილვა და მასზე შესაბამისი რეაგირება. აღნიშნულ საკითხი რეგულირდება კანომდებლობლობით, კერძოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიერ 2017 წლის 3 აპრილს გამოცემული ბრძანება №18-ით.

კომპანიას აქვს გასტანდარტებული ფასების პოლიტიკა, რომელის გადახედვა სისტემატურად ხდება ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა აღნიშნული პროცესი არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ კომპანია მოერგოს კონკრეტული მომხმარებლის მოთხონას, რაც ასევე არ ნიშნავს, იმას რომ დაირღვეს სადაზღვევო პრინციპი, უგულებელყოფილი იქნას კომპანიის ეკონომიკური კეთილდღეობა და პატივი არ ეცეს ბიზნეს ეთიკას.

კომპანია სისტემატურად უთმობს დროს და რესურს ყოფს პროცესების გამართვისა და ბიზნესპროცესის სრული სინქრონიზაციისთვის. ამ მიმართულებით ხდება მიმართულებების მიხედვით დებულებების მიღება და პროცესების გასტანდარტება. ამ პროცესის ნაწილია „ფეის აიდის“ დანერგვა და გაყიდვებისა და ზარალების რეგულების დროს შესაბამისი პროცედურების მორგება მომხმარებელთა ინტერესებზე.

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, თუმცა გარიგებების გარკვეული ნაწილის დადება, საქმიანობიდან გამომდინარე ხდება უცხოურ ვალუტაშიც (გადაზღვევის ოპერაცია, სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტების პრემია). კომპანიის საოპერაციო შემოსავლებში 68% გამომუშავებულ სადაზღვევო პრემისას უჭირავს, ხოლო ხარჯების 87% სადაზღვევო ხარჯებს (გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიაში, დამდგარი ზარალები და საკომისიო ხარჯი). კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია გადაზღვევის ხარჯი. თუ გადავხედავთ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს ისინი შემდეგნაირად გამოიყურება:

Column1	2021	2020	ზრდა
მოზიდული პრემია, ბრუტო	22,726,124	23,138,508	-1.78%
გამომუშავებული პრემია, ბრუტო	21,604,367	22,805,956	-5.27%
დამდგარი ზარალები, ბრუტო	12,362,925	15,684,898	-21.18%
წმინდა მარჟა	-3.46%	5.90%	-7.01%
საკომისიო და აკვიზიციური ხარჯების კოეფიციენტი	13.85%	10.54%	3.31%
ზარალიანობის კოეფიციენტი	44.12%	65.26%	-21.14%
ადმინისტრაციული ხარჯის კოეფიციენტი	29.95%	21.50%	8.45%
ნეტო კომბინირებული კოეფიციენტი	87.92%	97.30%	-9.38%

ერთ-ერთი მნიშვნელოვან რიკს-ფაქტორად საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმატივების ხშირი ცვლილება შეიძლება განიხილებოდეს, რაც ხშირად ართულებს ჰარმონიზაციის პროცესს კანონმდებლობასთან. 2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19–მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. ამ მოვლენებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, როგორც კომპანიაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც.

კომპანიის ხელმძღვანელობა დადებითად აფასებს პანდემიით გამოწვეული საბაზრო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს.

კომპანია მუდმივად ცდილობს შექმნას თავისი „თამაშის წესები“ რაც მის მიერ დაგეგმილ სტატეგიის განხორციელებაში დაეხმარება. ამ ვითარებაში შესაბამისად მიზანშეწონილია ბაზრისთვის ახალი ინიციატივების - ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება. გენდერული მრავალფეროვნების ნაწილში კი ჩვენი კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუკერძოებლობის და ცოდნის დაბალანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის, კლიენტის, მომწოდებლის თუ კონტრაქტორის აყვანას.

მმართველობის დამტკიცდა გამოიცა 2022 წლის 15 აპრილს:

გიორგი სუფრამანიძე

გენერალური დირექტორი

შორენა ნაცვლიშვილი

მთავარი ბუღალტერი

კომპანია სისტემატურად უთმობს დროს და რესურს ყოფს პროცესების გამართვისა და ბიზნესპროცესის სრული სინქრონიზაციისთვის. ამ მიმართულებით ხდება მიმართულებების მიხედვით დებულებების მიღება და პროცესების გასტანდარტება. ამ პროცესის ნაწილია „ფეის აიდის“ დანერგვა და გაყიდვებისა და ზარალების რეგულების დროს შესაბამისი პროცედურების მორგება მომხმარებელთა ინტერესებზე.

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, თუმცა გარიგებების გარკვეული ნაწილის დადება, საქმიანობიდან გამომდინარე ხდება უცხოურ ვალუტაშიც (გადაზღვევის ოპერაცია, სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტების პრემია). კომპანიის საოპერაციო შემოსავლებში 68% გამომუშავებულ სადაზღვევო პრემისას უჭირავს, ხოლო ხარჯების 87% სადაზღვევო ხარჯებს (გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიაში, დამდგარი ზარალები და საკომისიო ხარჯი). კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია გადაზღვევის ხარჯი. თუ გადავხედავთ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს ისინი შემდეგნაირად გამოიყურება:

Column1	2021	2020	ზრდა
მოზიდული პრემია, ბრუტო	22,726,124	23,138,508	-1.78%
გამომუშავებული პრემია, ბრუტო	21,604,367	22,805,956	-5.27%
დამდგარი ზარალები, ბრუტო	12,362,925	15,684,898	-21.18%
წმინდა მარჟა	-3.46%	5.90%	-7.01%
საკომისიო და აკვიზიციური ხარჯების კოეფიციენტი	13.85%	10.54%	3.31%
ზარალიანობის კოეფიციენტი	44.12%	65.26%	-21.14%
ადმინისტრაციული ხარჯის კოეფიციენტი	29.95%	21.50%	8.45%
ნეტო კომბინირებული კოეფიციენტი	87.92%	97.30%	-9.38%

ერთ-ერთი მნიშვნელოვან რიკს-ფაქტორად საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმატივების ხშირი ცვლილება შეიძლება განიხილებოდეს, რაც ხშირად ართულებს ჰარმონიზაციის პროცესს კანონმდებლობასთან. 2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19–მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. ამ მოვლენებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, როგორც კომპანიაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც.

კომპანიის ხელმძღვანელობა დადებითად აფასებს პანდემიით გამოწვეული საბაზრო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს.

კომპანია მუდმივად ცდილობს შექმნას თავისი „თამაშის წესები“ რაც მის მიერ დაგეგმილ სტატეგიის განხორციელებაში დაეხმარება. ამ ვითარებაში შესაბამისად მიზანშეწონილია ბაზრისთვის ახალი ინიციატივების - ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება. გენდერული მრავალფეროვნების ნაწილში კი ჩვენი კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუკერძოებლობის და ცოდნის დაბალანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის, კლიენტის, მომწოდებლის თუ კონტრაქტორის აყვანას.

მმართველობის დამტკიცდა გამოიცა 2022 წლის 15 აპრილს:

---	---
გიორგი სულამანიძე	შორენა ნაცვლიშვილი
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი